პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

პარასკევი, 10 ოქტომბერი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 3 კაპ.

წითელი არმიელი

№620 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა საველე ელ. 1

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც' ნომპარელის სტრიქონზე სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

მოვლენ და მზათ უნდა დავხვდეთ ახალ წვეულებს.

სულ ამ ახლო ხანში წავიდენ უვადო შვებულებაში სპეციალ ნაწილების წითელ არმიელები.

მათ შეასრულეს სამხედრო ბეგარა და ეხლა კვლავ სოფლის მუშაობას დაუბრუნდენ.

სამაგიეროდ ახალგაზრდებს ჩვენ სულ ცოტა ხანში მივიღებთ.

დიდი უმეტესობა ჩვენი წითელ არმიელებისა გლეხობა არის, რომელსაც ბევრ შემთხვევაში სოფლის გარდა არა უნახავს რა.

ამის გამო ახალი ცხოვრება მათზე ცოტა ოდნავ ცუდათ იმოქმედებს.

ყაზარმული ცხოვრება საზოგადოებრივი ცხოვრების ნიმუშია. აქ კაცმა თავის ხასიათი სხვის ხასიათს უნდა შეათვისოს.

არსებული წესები უნდა შეასრულოს. ყაზარმაში არ შეიძლება მოგენებება იძინო, მოგენებება იხტუნო.

აქ ყველას და ყოველივეს თავის დრო და ალაგი აქვს.

და აი რომ ამ ცხოვრების პირობებმა ერთნაირად არ შეაშინოს და დააფრთხოს ახლად მოსული ამხანაგი, მას სულ სხვანაირად უნდა დახვედრა და მოპყრობა.

პირველ ყოვლისა თვით ყაზარმას უნდა მიეცეს სასტუმრო ხასიათი. შემდეგ უფროსთა და პოლიტიკურ მომუშავეთა შემადგენლობამ უნდა იფიქროს და იზრუნოს ახალ წვეულების შეხვედრაზე.

მოსვლისთანავე საჭიროა გაიმართოს მათთან საუბარი სხვა და სხვა საკითხებზე.

ყველაზე უმალ უნდა აეხსნასთ წითელი არმიელის დანიშნულება, ყაზარმის ცხოვრების პირობები, თვითნებით წასვლის და დეზერტირობის ცუდი მხარეები.

ამ საქმეში დიდი მუშაობის წარმოება არის საჭირო.

თავისთავად ცხადია ამას შეასრულებენ უფროსთა შემადგენლობა და პოლიტმომუშავენი.

ბევრის გაკეთება შეუძლია (და ვალდებულნიც არიან) ძველ წითელ არმიელებს.

უშუალო დახმარება ახალ წვეულების პირველ შეხვედრაში ძველმა წითელ არმიელებმა უნდა გასწიონ.

მათ უკვე იციან სამხედრო საქმე. იციან სამხედრო ცხოვრების პირობები.

ამიტომ ისინი ახლების მოსვლისთანავე უნდა შეუდგენ მათთან დაახლოვებას, ახსნა განმარტებას და საკუთარი გამოცდილების გადაცემას.

ასეთ პირობებში ახლად მოსული თავს ობლად არ იგრძნობს, ის დაინახავს, რომ მასზე ზრუნავენ.

პირველ ხანებში რაც აღებეჭდებათ—ეს სამუდამოდ დარჩებათ მეხსიერებაში. ამიტომ ვემზადოთ სტუმრების შესახვედრად.

საჭიროა ყურადღების მიქცევა.

ამ უკანასკნელ ხანებში რედაქციას აუარებელი წერილები მოსდის წითელ-არმიელებიდან, სადაც ამხანაგები სჩივიან სოფლიდან წერილების გვიან მიღებაზე და ზოგ შემთხვევაში სულ არ მიღებაზედაც. ასეთი მდგომარეობის მიზეზად ამხანაგები ასახელებენ ფოსტის მოუწესრიგებლობას.

გარდა ამისა წითელ-არმიელები სჩივიან, რომ მათი გაგზავნილი წერილი და მათ მისამართით გამოგზავნილი იკარგება ფოსტის მოხელის მიერ.

რედაქციის შეკითხვაზე და განმარტებაზე, რომ წითელ-არმიელთ აქვთ განსაზღვრულ რაოდენობის წერილების გაგზავნის და მიღების უფლება, წითელმა-არმიელებმა განაცხადეს, რომ არც ერთი წერილი არ მიუღიათ მათ დაუბეგრავათ.

წერილების მიწერ-მოწერას ჩვენ დიდის ყურადღებით ვეპყრობით. ეს ერთი მთავარ საშუალებათაგანია ჯარისა და სოფლის დაკავშირებისათვის.

ამიტომ საჭიროა ამ საქმის გამოკეთებას სათანადო ყურადღება მიექცეს.

პირველ ყოვლისა საჭიროა გამოირკვეს აქვს თუ არა სინამდვილეში ადგილი წერილების დაკარგვას და უკანონოდ დაბეგვრას.

ეს პირდაპირი მოვალეობა არის ნაწილის სამხედრო კომისრის.

გამორკვევის შემდეგ დივიზიის სამხედრო კომისრის და უფროსის საშვალებით ადვილი მოსახერხებელია საქმის გამოსწორება.

უბრალო განცხადებები წერილობითი სახით, როგორც ამას ჩვენი კორესპონდენტები და წითელ არმიელები შვებიან, საკმარისი არ არის.

საჭიროა ბრალის დადების დროს დასამტკიცებელი საბუთებიც გვქონდეს.

მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება საქმის გამოკეთება.

უამისოთ სასურველ შედეგს ვერ მივახწევთ.

—ი.

საფრანგეთში

რეინოლდიმ მიმართა საფრანგეთის კომერსანტებს მოწოდებით დახმარება გაუწიონ ფრანკის კურსის აწევის საქმეს.

„მეფის-მუშური“ პარტია.

გაზ. „პრავდა“ მუშათა პარტიის კონფერენციის შესახებ.

გაზეთი „პრავდა“ სათაურით-„მეფის-მუშური“ პარტიის კონფერენცია“ სწერს:

„ეხლახან გათავდა კონფერენცია ეგრეთ წოდებულ ბრიტანეთის მუშათა პარტიისა. ეს ლიბერალური პარტია, რომელსაც თავის დღეში არ უფიქრია გამხდარიყო სოციალურ რევოლიუციის პარტიად, აღტაცებულია მაკდონალდის პოლიტიკით.

კონფერენციაზე მეტად მწვავედ დადგა საკითხი კომუნისტებთან დამოკიდებულების შესახებ. ეს ნიშანია იმის, რომ კომუნისტური პარტია თანდათან ძლიერდება კონსერვატიულ ინგლისში.

კონფერენციამ დაადგინა არ მიიღოს კომუნისტები თავის ორგანიზაციაში.

მიღების წინააღმდეგ იყო 1.800 ათასი, მომხრე კი 1.500.000 ერთი სიტყვით ამ საკითხმა გაჰყო ორგანიზაცია თითქმის ორ თანაბარ ნაწილად. ეს არის ნიშანი მუშათა მასების გამემარცხნევებისა, მათი უკმაყოფილების ზრდისა და კლასიური შეგნებისა.

კომუნისტების შევიწროებასთან ერთად, მაკდონალდები გამოდიან ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების სასარგებლოდ.

„მუშათა“ პარტიის ბელადების მთელი სტრატეგია საკმაოდ ნათელია: ისინი სცდილობენ იყიდონ მუშათა ნდობა ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულებით, იყიდონ ბურჟუაზიის ნდობა ახალი შევიწროებით და გალაშქრებით კომუნისტების წინააღმდეგ თავის ქვეყანაში.

რადიო-დეპეშები.

სამოქალაქო ომი ჩინეთში.

შანხაის უტევენ.

ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობით შანხაი სრულიად გარშემორტყმულია. ქალაქის აღებას საათობით მოელიან. გენერალმა ლუმ მოსწია ახლოს თავისი რეზერვები.

ამერიკიდან მიღებულ ცნობების თანახმად პეკინის ჯარებმა დაიკავეს სუ-კიანგი, რომელიც იმყოფება 25 მილის მანძილზე შანხაიდან.

მუკდენიდან მიღებულ ცნობებით ჩჟან ცზოლინმა დიდი ბრძოლის შემდეგ დაიკავა შანხაი-გუანი.

უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლების პროტესტზე, პეკინში ყუმბარების ჩამოყრის წინააღმდეგ, ჩჟან-ცზოლინმა განაცხადა, რომ ქალაქი უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა მთავრობის ჯარის მთავარი ბანაკი გადატანილ იქნება სხვა ადგილზე.

საფრანგეთის ცნობების თანახმად უ-პეი-ფუმ აიძულა ჩჟან-ცზო-ლინი დაეტოვებია დაკავებული პოზიციები.

ეგვიპტის საკითხი.

ბრიტანეთის ყველა პარტიის გაზეთების უმეტესობა იწონებენ მაკდონალდის დეპეშას ბრიტანეთის პოლიტიკის შესახებ ეგვიპტეში და სუდანში.

გაზეთებს მოჰყავთ სრული ანგარიში მაკდონალდის მოლაპარაკების შესახებ ეგვიპტის პრემიერთან.

„მორნინგ პოსტი“ სწერს, რომ ის, რასაც მოითხოვდა ზაგლულ ფაშა, არ იქნება შესრულებული ბრიტანეთის არც ერთი მთავრობის მიერო.

ასევე „დეილი ნიუზი“ აცხადებს, რომ ვერც ერთი ბრიტანეთის მთავრობა ვერ წავა ზაგლულ ფაშას მიერ მოთხოვნილ დათმობაზეო.

„დეილი-მეილის“ კორესპონდენტი იუწყება, რომ მაკდონალდის დეპეშამ ლორდ ალენბის მიმართ მისცა საბაბი ეგვიპტის პრესას ხოტბა შეესხა ზაგლულ ფაშასათვის. გაზეთები აქებენ მის ლოიალობას და სიმტკიცეს.

კორესპონდენტის აზრით, გაზეთები სრულ მოუმზადებლობას იჩენენ ბრიტანეთის თვალსაზრისის გაგებაში ეგვიპტისა და სუდანის საქმეში.

ინგლისის მუშათა პარტიის კონფერენცია

მაკდონალდის სიტყვა.

მუშათა პარტიის კონფერენციაზე მაკდონალდმა თავის სიტყვაში განაცხადა:

„საგარეო პოლიტიკაში მუშათა მთავრობას მოუხდა დიდი დაბრკოლების გადალახვა. მაგრამ ჩვენი დელეგაციის საქმიანობა ერთა ლიგის სესიაში პირდაპირ საამაყოა მათთვის, ვინც დადგა მუშათა პარტიის მხარეზე მის მისწრაფებაში მშვიდობიანობისაკენ.

ქვევით მაკდონალდმა განაცხადა, რომ ის არ არის კომუნისტი. კომუნიზმს არაფერი არ აქვს საერთო ჩვენს პრაქტიკულ მოღვაწეობასთან კომუნიზმი ნაყოფია ცარიზმისა და ომის მიერ შექმნილ განწყობილებისა.

მოლაპარაკება ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულებაზე გრძელდება, მაგრამ არიან ჯგუფები, რომლებიც მზად არიან შესწირონ ნაციონალური ინტერესები თავიანთ პირად სარგებლობას.

ხალხს არ სურს ახალი არჩევნები, მაგრამ მთავრობას არ შეუძლია განაგრძოს მუშაობა, თუ მან არ დაიცვა თავისი ღირსება.

კონსერვატორების მთავრობის პოლიტიკის დაგმობის შესახებ ეს იყო გამოწვევა-ისეთივე, როგორიც ლიბერალების წინადადება კომისიის დანიშვნის შესახებ კომუნისტური გაზეთის რადაქტორის საქმის მოსპობის შესახებ.

დასასრულ მაკდონალდი მოუწოდებს მუშებს ფხიზლად იყონ, სანამ საერთაშორისო მდგომარეობა ნებას მისცემდეს მუშათა მთავრობას გადავიდეს თავდაცვისაგან შეტევაზე.

კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ულოცავს მუშათა მთავრობას, რომ მას ისევე შეუძლია პასუხისმგებლობა იკისროს სახელმწიფოს მართვაში, როგორც რომელიმე წინად არსებულ მთავრობას.

ბოლოს რეზოლიუციაში ნათქვამია რომ, თუ მთავრობისთვის საჭირო იქნება აწარმოოს ბრძოლა თემთა პალატის სხვა პოლიტიკურ პარტიების წინააღმდეგ, მუშათა პარტია დაეხმარება მას.

ალმასკომის მოხსენების გარშემო.

შემდეგ კონფერენცია გადადის ალმასკომის მოხსენების დაწვრილებით გარჩევაზე.

ინდოეთის წარმომადგენელი **საკლათვალა**. აკრიტიკებს მოხსენების იმ ნაწილს, რომელიც ეხება ინდოეთს და აღნიშნავს, რომ მუშათა დეპუტაციამ მიმართა ინდოეთის საქმეთა დეპარტამენტს მოთხოვნილებით რათა მიენიჭოს სწორუფლებიანობა ინდოეთის მუშებს, მაგრამ მთავრობამ არავითარი პასუხი არ გასცა ამ მოთხოვნილებასო მან აღნიშნა აგრეთვე, რომ ინდოეთის საქმეთა დეპარტამენტს სათავეში უდგას ცნობილი რეაქციონერი კაპიტალისტი ჩანტერეი.

„უორკერს უიკლი“-ს სპეციალური ნომერი.

მიმდინარე კონფერენციასთან დაკავშირებით ინგლისის კომპარტიამ გამოუშვა გაზეთ „იუორკერს უი-

კლი"-ს სპეციალური ნომერი. გაზეთი სასტიკად გმობს დაწყებულ კამპანიას საქართველოს ამბების შესახებ. გაზეთი მოუწოდებს მუშებს მხარი დაუჭირონ მთავრობას ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების საკითხში, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ეს ხელშეკრულება კომპრომისული (დათმობითი) დოკუმენტია, რომლის უარსაყოფად სრული საბუთი აქვს რუსეთის მუშებს."

გაზეთი ეხება აგრეთვე დოუესის გეგმას (ეს არის გეგმა გერმანიის ეკონომიურად დამორჩილებისა) და აღნიშნავს მუშათა კონგრესის საჭიროებას ამ გეგმის უარსაყოფად.

გაზეთი აცხადებს, რომ კომპარტია ყოველ შემთხვევაში იბრძოლებს ამ გეგმის წინააღმდეგო.

იმავე ნომერში გაშუქებულია კომუნისტურ გაზეთის რედაქტორის-კემბელის საქმე და მოყვანილია პასუხი მუშათა პარტიის ყოველ გვარ გალაშქრებაზე კომპარტიის წინააღმდეგ.

მუშათა კლასმა უნდა აღიმაღლოს თავისი ხმა.

ინგლისის კომპარტიამ მოწოდებით მიმართა მუშებს მუშათა კონფერენციის გადაწყვეტილების გამო, რომ კომუნისტები გამორიცხულ იქნან ორგანიზაციიდანო. მოწოდებაში აღნიშნულია, რომ ასეთი გადაწყვეტილების წინააღმდეგ ხმა უნდა აღიმაღლოს მთელმა მუშათა კლასმაო. ეს გადაწყვეტილება გამარჯვებაა მემარჯვენე ფრთის ბელადებისა, რომელთაც სურთ დაუმორჩილონ ისინი კაპიტალისტებს.

ეს ბელადები სცდილობენ გამორიცხონ კომუნისტები, რათა თავიდან მოიშორონ თავიანთი პოლიტიკის მოწინააღმდეგენი.

კომპარტიის განდევნა შეუძლებელია მუშათა მოძრაობიდან, ვინაიდან ის შეადგენს ამ მოძრაობის ცოცხალ ნაწილს.

ინგლისი.

უმუშევართა დეპუტაცია.

მუშათა პარტიის კონფერენციაზე მივიდა უმუშევართა დეპუტაცია.

უმუშევართა კომიტეტის თავმჯდომარემ განნიგტონმა ხაზგასმით აღნიშნა სტატისტიკური ცნობების თანახმად უმუშევრობის საქმე გაუმჯობესებულ იქნება.

მან განაცხადა, რომ უმუშევრები მოითხოვენ, რათა მთავრობამ მიიღოს პრაქტიკული ზომები უმუშევრობის საკითხის მოსაგვარებლად.

მან მოიწონა მთავრობის ცდები შეუთანხმდეს საბჭოთა კავშირს, ვინაიდან უმუშევრები ფიქრობენ, რომ ეს საუკეთესო გზათა უმუშევრობის შესამცირებლადო.

ამის გარდა საბჭოთა კავშირს მიეცემა საშუალება მიიყვანოს საბჭოთა სისტემა ისეთ განვითარებამდე, რომ ის გახდება მთელი ქვეყნის მუშებისათვის საუკეთესო მაგალითი.

ეს განცხადება შეხვედრილ იქმნა დიდის აღფრთოვანებით.

გერმანია.

მარქსი სესხის შესახებ.

კანცლერ მარქსმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ გერმანია ელოდება სესხს. უმთავრესად კი თავისი ფინანსიური მდგომარეობის განმტკიცებას. სესხის დამარცხება იქნება დოუესის გეგმის დამარცხება, ხოლო ეს გამოიწვევს გაუთვალისწინებელ და უსათუოდ უბედურ შედეგებს მთელი ევროპისათვის.

გერმანია და ერთა ლიგა

„ჟურნალი „დე-დება" ეხება გერმანიის შესვლის საკითხს ერთა ლიგაში და აცხადებს, თუ გერმანია არ უარყოფს საკითხის, დაყენებას ომის დამნაშავეობის შესახებ, მაშინ ერთა ლიგაში მისი შესვლის საკითხი შეიძლება ჩაითვალოს გათავებულად.

განიარაღება.

პაციფისტების კონგრესზე ბერლინში საფრანგეთის დელეგატმა ვერრომ აზრი გამოსთქვა სრული განიარაღების შესახებ. ამასთან მან გამოსთქვა ერთგვარი შიში, რომ არმია, რომელიც იქნება ერთა ლიგის განკარგულებაში, მეტად ჩქარა გადაიქცევა განსაკუთრებულ უფლებების მქონე არმიად.

მუშათა მოძრაობა.

საფრანგეთის კომპარტიის ზრდა.

საფრანგეთის კომპარტია ენერგიულად ეწყობა ფაბრიკა-ქარხნების უჯრედების საფუძვლებზე. მიღებულია ზომები „იუმანიტეს" გარდაქმნისათვის მასიურ კომუნისტურ ორგანოდ.

„იუმანიტე ყოველ დღიურად ათავსებს მუშათა კორესპონდენციებს და აწარმოებს პარტიული ცხოვრების ფართე განყოფილებას.

გაზეთი „ფიგარო" აღნიშნავს კომუნისტურ გეგმების ფართე გაქანებას, ბრალს სდებს მთავრობას ზომების არ მიღებაში „ორგანიზაციის წინააღმდეგ", რომელმაც აშკარა შეთქმულება მოაწყო სახელმწიფო უზრუნველყოფის წინააღმდეგ.

საბჭოთა ფედერაციაში.

სოფლის კორესპონდენტ მალინოვსკის მკვლელების საქმე.

დარბაზიდან გაჰყავთ ყველა ბრალდებულები, გარდა ანდრია მალინოვსკისა (მოკლულის ძმა).

ის ამბობს, რომ ძმის მოკვლაზე მას აქეზებდა სიმონოვიჩი.

იმ დღეს, როცა მკვლელობა უნდა მომხდარიყო, სიმონოვიჩმა მოიწვია თავისთან ანდრია მალინოვსკი, მისცა თოფი და დააყენა იმ გზაზე, რომლითაც უნდა დაბრუნებულიყო გრიგოლ მალინოვსკი.

მოკვლის შემდეგ ბრალდებულმა პაპანდოპულომ დაარიგა ანდრია მალინოვსკი, რომ თუ ის არავის გასცემს მკვლელობაში და ილაპარაკებს ისე როგორც მას არიგებენ, სოფლის ძალები მას გამოიყვანენ თავდებობის ქვეშ. ანდრია მალინოვსკიმ ასეც აჩვენა, რომ მან მოჰკლა ძმა, ვინაიდან ის ბანდიტი იყოო.

მაგრამ ერთხელ ანდრია მალინოვსკი გამოტყდა ერთ თავის ნაცნობ ქალთან მკვლელობის მიზეზის შესახებ და შემდეგ გამომძიებელთანაც იგივე გაიმეორა.

ბრალდებულმა განაცხადა, რომ ძმის მოკვლას მას ურჩევდენ ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე, მაგრამ უარზე იდგა რადგანაც ეცოდებოდა ძმა.

ის მე მამასავით მიმაჩნდა—განაცხადა მან. იმათ მე გამაბრუეს არაყით, მე საშინელი მთვრალი ვიყავი. გავიგონე სროლა და დავინახე, თუ როგორ დაეცა ძმა, მაგრამ ვინ აიყვანა ის, მე არ მახსოვს".

სასამართლოს თავმჯდომარე ეკითხება: „შეიძლება სხვა ვინმემ ესროლა?".

მალინოვსკი უპასუხებს: „არ მახსოვს, ძლიერ მთვრალი ვიყავი".

როგორც შემდეგი ჩვენებისაგან გამოირკვა, მალინოვსკის არ უსვრია თავის ძმისათვის, მაგრამ მან შეასრულა სიმონოვიჩის დარიგება თავს ედო მკვლელობა.

შემდეგ ეკითხებიან სიმონოვიჩს, რომელიც ამბობს, რომ მას წინადადება მისცა პაპანდოპულომ შეესრულებია მკვლელობა, რაშიაც შეპირდა მას "პარტიაში ჩაწერა", ვინტოვკა, სახლის აშენება მისთვის და გადასახადებისაგან განთავისუფლება.

შემდეგ ეკითხებიან ივანოვს.

იაპონია-საბჭოთა მოლაპარაკება.

გადაწყვეტილი საათი.

ამხ. კარახანის განცხადება.

როსტას კორესპონდენტთან საუბარში ამხ. კარახანმა განაცხადა: იაპონია-საბჭოთა მოლაპარაკება უკვე შევიდა საბოლოო და გადაჭრილ მომენტში.

მთავარი საკითხი იყო მეფის ვალები, ძველი ხელშეკრულებები და ნიკოლაევსკის ინცინდენტი. საბჭოთა მთავრობა შეპირდა მისცეს იაპონიას კონცესიის სახით 40 პროც. ნავთის რაიონებისა სახალინზე. იაპონია მოითხოვს მთელი სახალინის ნავთის რაიონებს.

საბჭოთა მთავრობა აძლევს აგრეთვე იაპონიას 1.000 კვადრატ ვერს, მოედანს, რათა გამოსძებნოს ამ მოედანზე ნავთის წყაროები, საიდანაც მიიღებს ამ რაიონებში ამოსულ ნავთის 40 პროც. 5 წლის განმავლობაში.

მეორე სადაო მუხლი არის ის, რომ იაპონია პირდება საბჭოთა კავშირს 5-15პრც. წმინდა ნავთის მიცემას. ჩვენ მოვითხოვთ 10 15 პროცენტს.

ჩვენ თანახმა ვართ კონცესიისა იმ მიზნით, რომ გვინდა ეკონომიური დაახლოება იაპონიასთან. საქმე სულ რამოდენიმე დღეში გამოირკვევა."

იაპონიის ნაციონალისტები შეთანხმების შესახებ.

აღმოსავლეთ რკინის გზების საკითხში შეთანხმების გამო ერთი გავლენიანი ნაციონალისტური გაზეთი სწერს:

„ეს შეთანხმება შედეგია მუკდენსა და პეკინს შორის უთანხმოების.

საბჭოთა მთავრობა ვერ დამშვიდდებოდა მანამ, სანამ ეს გზა თეთრგვარდიელთა ხელში იქნებოდა.

მით უმეტეს, როცა იაპონია, საფრანგეთი და ამერიკა კავშირში შეეკრა თეთრგვარდიელებს ფარულად ემოქმედათ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

რასაკვირველია საბჭოთა კავშირს სხვა გვარად მოქცევა არ შეეძლო და ხსენებული შეთანხმება აუცილებელი გახდა. მაგრამ საბჭოთა მთავრობა პატივს სცემს პეკინის მთავრობის სუვერენიტეტს.

მცირე მიმოხილვა.

მენშევიკების ვერაგობის გამოძახილი.

ჩვენში მენშევიკების მიერ ჩადენილ ვერაგობის გარშემო ჯერაც არ შეწყვეტილა ბურჟუაზიური დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიის წრეებში.

იქ მოკალათებულმა მენშევიკების ბელადებმა ყოველგვარი ზომები იხმარეს, რათა ქვეყნისთვის დაეჯერებიათ, რომ საქართველოს მშრომელი ხალხი ადგა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგო.

მათის განცხადებით ტფილისი, ბათომი და სხვა მრავალი ქალაქები დაკავებული იყო მეამბოხეების მიერ.

მაგრამ ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „ტყუილს მოკლე ფეხი აბიაო".

ვერ მოატყუეს თავის ლათაიებით მენშევიკებმა ვერავინ და იმათაც ჩვეულებრივ შეაბრუნეს კეხი.

ეხლა გაიძახიან, რომ საქართველოს აჯანყება ჩვენი კი არა თვით კომუნისტების მოწყობილიაო.

ამაზე შორს კაცის გონება განა წავა?

ეს უბადრუკონი ისეთ რამეს ამბობენ, რომელზედაც ბრიყვსაც კი გაეცინება.

აჯანყება ჩვენ არ მოგვიწყვიაო. განა ამ ვერაგობის მომწყობნი პარიზიდან არ ჩამოვიდენ საქართველოში? ისინი ხომ მიწიდან არ ამომძვრალან; ეს, რასაკვირველია, კარგად იციან მენშევიკებმა, მაგრამ ნაცარქექიასავით მაინც უნდათ ნაცრის მტვერი დააყენონ. ეგებ ღმერთმა იპრიანოს და ვინმემ დაგვიჯეროსო.

დე, მათი ღმერთიც მათ ყავდეთ და მათი ეშმაკიც.

მხოლოდ მშრომელი მასა და ყველა პატიოსანი მოქალაქე ნათლად არის დღეს დარწმუნებული მენშევიკების ღალატში და საზიზღრებაში.

ირგვლივ დამარცხებას განიცდიან.

ევროპაში მოკალათების შემდეგ მენშევიკები და მათთან ერთად სხვა დანარჩენი კონტრრევოლიუცია ერთ წუთს არ კარგავენ. ქალაქიდან ქალაქში და ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში დაწოწავენ, ავრცელებენ საბჭოთა კავშირზე აუარებელ ჭორებს და ამით ლამობენ მუშურ-გლეხური ხელისუფლების დამხობას.

ვიზედ ამყარებენ იმედს.

თავისთავად ცხადია მუშათა კლასი მათ არ გაყვება.

ახლახან ცდილი „საქმიანობა "ამის აშკარად დამადასტურებელია. მათ მხარს დაუჭერს მდიდრები და მემამულეები. ხელმძღვანელობას გაუწევს ყოფილი ოფიცრობა.

ამისათვის იყო სწორეთ ქალაქ ვარშავში (პოლონეთის დედა ქალაქა) გენერალ ზაქარიაძემ რამოდენიმე ოფიცერს და ინჟენერს მოუყარა თავი. გარდა ამისა მათ დაეხმარება ყველა ჯურის კონტრრევოლიუცია.

ამ შავი ყორნების შემწეობით ფიქრობენ ეს თავზე ხელაღებული ხალხი მუშების ამოჟლეტას.

მაგრამ საშველი არ მიეცათ, ხან ერთ კონფერენციაზე გარბიან ხან მეორეზე.

ყოველგან ქართველი ერის წარმომადგენლად აცხადებენ თავს და ყველგან პანჩურის კვრით ისტუმრებენ.

უკანასკნელად ეცადენ ეხლახან წარსულ ვერაგობას. ფული საფრანგეთმა მისცა. თვითეულმა თქვენგანმა კარგად იცის, თუ როგორ სამარცხვინოთ დამთავრდა ეს განზრახული ვერაგობა.

„წყალ წაღებული ხავს ეკიდებოდაო.", ნათქვამია ასე მოუდისთ მენშევიკებსაც.

ყველგან იმედ დაკარგულები ისინი ეხლა საერთაშორისო კოოპერატივთა ყრილობაზე გამოჩნდენ ქ. გენდში (ბელგიაში). ყრილობაზე მათ განაცხადეს საქართველოს კოოპერატიულ ცხოვრების სრულ მოშლაზე და თავი საქართველოს წარმომადგენლად განაცხადეს.

მაგრამ აქაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ.

ყრილობამ იცნო საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელი, მენშევიკებს კი პანჩური და ნიახური.

გერმანია ერთა ლიგაში შესვლას ფიქრობს.

ეს ერთი ხანია გერმანია ერთა ლიგაში წევრობაზე ფიქრობს. მკითხველმა იცის, თუ რაა ერთალიგა.

ეს არის ერთი სალაყბო დაწესებულება. კარგი მას არც არაფერი გაუკეთებია და არც გააკეთებს.

იქ ორი ქოფაკი ბრძანებლობს: ინგლისი და საფრნაგეთი.

სწორეთ საფრანგეთი იყო, რომ ტყავი გააძრო გერმანიას და ყელამდი დაავალიანა.

ეხლა ამ ოხრებთან კავშირში შესვლას ფიქრობს.

რას ნიშნავს ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანია ჯერ მაინც აღარ იყო დიაწი სულ აღარ იქნება. ერთა ლიგაში შესვლით მას ერთიორად შეეკვრის ხელი და ფეხი.

ორ ქოფაკს, რაც სურთ იმას შვებიან და თუ კიდევ მათთან კავშირში შევიდა ამის შემდეგ სულ მთლად გაანადგურებენ.

—ძე.

ჩვენ წითელ კარზე

წითელ საკავშირელოების გაცილება.

1 ოქტომბერს, ჩვენი, პირველ ქართულ მსროლელ დივიზიის ცალკე საკავშირო ასეულის ყაზარმაში მოეწყო საზეიმო გაცილება უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელებისა.

დაურიგდათ მოწმობები, ტანსაცმელ-ფეხსაცმელი, (ვისაც აკლდა) ზოგს გამოეცვალა ძველები ახლებზე, ზოგს დაუკერდა.

გაიმართა გაუმჯობესებული, გამოსამშვიდობებელი სადილი, რამაც მხიარულად ჩაიარა.

უკრავდა წითელ არმიელთაგან შემდგარი მუსიკა (დოლი, გარმონი), ისმოდა დაუსრულებელი „ვაშა“, ტაში, სიტყვები, აქ დარჩენილები და მიმავლები ემშვიდობებიან ერთმანეთს.

სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. სამხკომმა კუჭუაშვილმა, ყოფილმა პოლიტ ხელმა, ამხ. მაჩიტაძემ და სხვებმა, რომელთაც უსურვეს მიმავალ ამხანაგებს გამარჯვება და ენერგიული მუშაობა კულტურულ-ეკონომიურ ფრონტზე სოფლად, რის საპასუხოდაც ამხანაგები ფიცს იძლევიან, რომ ყოველივეს შეასრულებენ.

ბოლოს ეზოში გაიმართა ცეკვათამაში, რის შემდეგ გადაღებულ იქნა საერთო სურათი, უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელებისა და მეთაურ, პოლიტ შემადგენლობისა.

ამ დღისთვის გამოვიდა საზეიმო ნომერი კედლის გაზეთ „წითელი დროშისა“, სადაც უმთავრესად იყო მოთავსებული წერილები და ლექსები უვადო შვებულებაში მიმავალ ამხანაგების ძღვნად.

საღამოს მთელმა ასეულის შემადგენლობამ გააცილა ძვირფასი ამხანაგები სადგურზე, მხიარულად და ძმური გამოსალმებით.

სიკოია.

ახალი მეთაურები ჩვენს არტდივიზიონში.

1-ლ ქართულ მსუბუქ საარტილერიო დივიზიონს მოევლინენ ახლად კურს დამთავრებული მეთაურნი 5 კაცამდე.

მეთაურების მოსვლამ ჩვენს უფ პოლიტშემადგენლობაში დიდი სიხარული გამოიწვია, მით უფრო, რომ აღნიშნულ ნაწილში ძველი უფროსები ძლიერ ცოტა შერჩა სხვა და სხვა მიზეზების გამო და მეთაურების მცირე რიცხვი კი არ აკმაყოფილებდა სამხედრო ცოდნის წავლების საქმეში წითელ არმიელებს.

დღეს ქართულმა სამხედრო სკოლამ გამოუშვა ახალი მეთაურები და შეგვმატა ქართულ არტილერიის ახალი არტილერისტები, ამხ. მეთაურებმა უკვე დაიჭირეს თავიანთი სამსახურის ადგილები ჩვენს ბატარეებში და ავრცელებენ ცოდნას, რომელიც მიუღიათ მათ.

მოსვლისას ჩვენს დივიზიონში მოხდა მთლიანი კრება, სადაც არტილერიის სამხედრო კომისარმა ამხ. ჰკუასელმა, ვრცლად გაიცნო წითელ ლაშქრელებს ის დიდი მნიშვნელოვანი საკითხები, რომელიც ეხება თვითეულ წითელ მეთაურებს.

კრებამ ახალი მეთაურები დიდი ვაშას ძახილით და ტაშის ცემით დაასაჩუქრა.

კრება კმაყოფილად დაიშალა. წითელ არმიელები სიმღერით გაეშურნენ თავიანთ ყაზარმებისაკენ.

გაუმარჯოს ახალ მეთაურებს!

გაუმარჯოს ჩვენს დივიზიონში მათ ენერგიულ მუშაობას!

სამხკორი: **ნამკაშურისპირელი.**

1-ლ ლეგიონის საკავშირო გუნდის ცხოვრებიდან.

როგორ შეხვდენ ახალ წითელ მეთაურებს.

შაბათს, 4 ოქტომბერს, საკავშირო გუნდის უფროსმა გააცნო წ. არმიელებს გუნდში ახლად მოსულ წითელი მეთაურები. წითელ არმიელები დიდის სიხარულით და ვაშას ძახილით მიეგებენ ახალ წ. მეთაურებს. შემდეგ წითელ არმიელები დასხდენ ლენინის კუთხეში სიტყვიერ მაცადინეობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ შაბათობით არა გვაქვს საზოგადოთ პოლიტ-მეცადინეობა, მაგრამ წითელ არმიელების მიერ წამოყენებულ იქნა ისეთი საკითხები, რომ გაიმართა ნამდვილი საუბარი პოლიტიკურ თემებზე.

პოლიტხელი შეეხო ახალი მეთაურების დანიშნულებას. მან დაახასიათა მათი სოციალური მდგომარეობა, თუ რა წრიდან არიან ისინი გამოსული, რა ცოდნით არიან აღჭურვილნი, როგორ აქვთ შესწავლილი საბჭოთა აღმშენებლობითი მუშაობა და სხვა. წითელ არმიელები ძალიან დაინტერესა საუბარმა წ. მეთაურების შესახებ, რომლებიდანაც ისინი მოელიან აღზრდასა და გაწვრთნას, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკურ დარგშიაც.

პ. გრიგოლია.

დიდი სოფელი უსასწავლებლოთ.

გორის მაზრის სოფელ ნათლისცემელში და ფილეში (ეს სოფლები ერთი-მეორეზე გადაბმული არიან) 250 კომლი მცხოვრები ითვლება. ამ დიდ სოფელში, ჩვენ და სავაგლახოდ, დღემდე სკოლა და არც სხვა რაიმე დაწესებულება არ არსებობს. ხალხს სტანჯავს სიბნელე და უვიცობა.

მცხოვრებლებს დიდი სურვილი აქვთ სწავლა-განათლების მიღებისა, მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან სოფელში სკოლა არ არსებობს. სოფელს არ ყავს ისეთი ხალხი, რომ ეს საქმე თავზე აიღოს, სხვებისგან კი მივიწყებულია. დროა ამ მდგომარეობას მიაქციონ ვისგან ჯერ-არს ყურადღება და ხალხს გაეკაფოს გზა სინათლისაკენ.

ვთხოვ ამხ. არ. კვირიკაძეს მიაქციოს ჩემ მიერ აღნიშნულ გარემოებას ყურადღება.

წ.-არ. **დ. შალუხაშვილი.**

ფიცხი უმაწვილი.

ცალკე მესანგრე ასეულში იმყოფება დროებით, საქმის მწარმოებლის თანამდებობაზე, ფიცხი ყოფაქცევის ყმაწვილი გვარათ მურალოვი. იგი ცუდათ და უხეშათ ეპყრობა შტაბის თანამშრომლებს. თუ ვინმემ დაუშვა უნებლიეთ რაიმე შეცდომა (ვინაა, რომ შეცდომებს არ უშვებს?!) ან სხვა რაიმე გაუგებრობას ექნა ადგილი, იგი მაშინვე მიიღებს მბრძანებლის პოზას და ააყენებს ერთ ორომ-ტრიალს და ალიაქოთს, დაიწყებს რუსული სახაზინო სიტყვებით და დაათავებს მაგიდაზე მუშტების ცემით. შტაბის თანამშრომლები ხშირათ იტყვიან ხოლმე:—რა არის მაინცა და მაინც ეს ყვირილი, გვიბრძანოს წესიერათ და საქმის გაკეთებასთან ერთად ჩვენც კმაყოფილნი ვიქნებითო.



— რომ ნახოთ მისი მაგიდა, მართლაც გავლენა მოუხდენია მუშტის ცემას და წინა ნაწილი ჩამონტვრეული აქვს.

მოუწოდებთ მოქ. მურალოვს მშვიდობიანი ყოფა-ქცევისაკენ და ჩვენთან ამხანაგური დამოკიდებულებისაკენ.

ეძიბუცუნ.

პირველ ლეგიონში.

30 სექტემბერს შესდგა ბიურო კოლექტივის კრება.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

1. კლუბის წარსული და მომავალი მუშაობის შესახებ.

2) ლეგიონის ახ. ლენინელთა კავშირის მუშაობის შესახებ და სხვა.

საკლუბო მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა კლუბის უფროსის თანაშემწემ ამხ. ბ. სიხარულიძემ. ის შეეხო წარმოებულ მუშაობას და განაცხადა, რომ ბანაკად ყოფნის დროს მუშაობა საერთოდ ლენინის კარვებში ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო ვერ იყო დამაკმაყოფილებელი.

მუშაობდა შემდეგი წრეები: დრამ. წრე, ლიტ.-წრე, პოლიტ. წრე, ორი წრე მომღერალთა და სხვა.

ჩამოყალიბებულ იქმნა დანარჩენი წრეებიც. არჩეულ იყო წრეების პრეზიდიუმი, რომლებიც მუშაობას მალე შეუდგებიან. საკლუბო მეთოდებით ყველა წრეებთან იყო მიდგომა და მათ დასაინტერესებლად შესაფერისი ენერგიაც არის დახარჯული.

შემდეგ ამხანაგს მოყავს სტატისტიკური ცნობები თუ რამდენი წარმოდგენა- კინოები ჩატარებულა და საერთოდ თუ რა გაუკეთებია კლუბს მასიური მუშაობის სახით. ის ამ მხრით მუშაობას დადებითად სთვლის.

მასიურ მუშაობის დარგში დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს კედლის გაზეთები, რომლებიც შესაფერ გავლენას ახდენდა წითელ არმიელთა მასაზე.

ბანაკად ყოფნის დროს კლუბის მუშაობაში აღსანიშნავია აგრეთვე კომპანიების ჩატარება.

ამხ. შეეხო აგრეთვე სხვა და სხვა სახის მუშაობას, რის შემდეგ იყო მრავალი შეკითხვები და პასუხები და ბოლოს მომხსენებელმა გააცნო კრებას ზამთრის პერიოდში საკლუბო მუშაობის წარმოებისათვის მოკლე გეგმა.

შემდეგ კი გამოტანილ იქნა რეზოლიუცია კლუბის მუშაობის შესახებ, რომელიც კრებამ სცნო საერთოდ დამაკმაყოფილებლად.

აღნიშნულ იქნება აგრეთვე მუშაობის ნაკლიც, რის გამოსასწორებლად იქნება ზომები მიღებული.

მესამე საკითხად განხილულ იქნა პოლიტ-განყოფილების მიერ გადმოგზავნილი ოქმი ახ. ლენინელთა კავშირში მუშაობის შესახებ. კრების მიერ იქნა ზომები მიღებული ლენინელთა კავშირში მუშაობის გასაღრმავებლათ.

დაევალა ბიურო კოლექტივის წევრებს, რომ გაუწიონ დახმარება ყოველივე მუშაობაში.

ს. იმნაიშვილი.

მოგვეცით ჩაის წყალი.

1 ქ. მ. დ. მესანგრე ასეულში ამ ჟამად თუმცა ცოტა არის სამხედრო მოსამსახურეები, მაგრამ ყოველივე მოვალეობა უნდა რიგზე მიდიოდეს.

აგერ ერთი კვირა გავიდა რომ აცრ დილის და არც საღამოს ჩაის წყალს არ გვიდუღებენ. მორიგეს რომ შევეკითხეთ, გვიპასუხა, რომ ათი თხუტმეტი კაცისთვის დიდ ქვაბს ვერ ავადუღებთო

აქედან გამოდის რომ, სანამ მესანგრე ასეული არ შეივსება წითელ არმიელებით, მანამდი ჩვენ ჩაი არ გვეღირსება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ გვაქვს საშუალება ავადუღოთ წყალი პატარა ქვაბში, რომელიც უკვე მოგვეპოება ასეულში.

წითელ არმიელების შვებულებაში წასვლის შემდეგ სასადილოშიც უსუფთაობა არის. ხშირათ ნახავთ სუფრაზე გალესილ ქონს და სიბინძურეს.

ამავე დროს კი სასადილოს თავისი გამგე ჰყავს.

საჭიროა ყურადღება.

ლ. გიორგაძე.

1-ლ ქ. მ. დ. ცალკე მესანგრე ასეული.

7 ოქტომბერს შესდგა მესანგრე ასეულის ღია კრება. დაესწრენ როგორც უპარტიო წითელ არმიელები აგრეთვე უფ-შემადგენლობაც. კრებას თავმჯდომარეობდა მწყობრის თავი ამხ. კვიჟინაძე.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

1. უპარტიოთა კონფერენციაზე დელეგატების ამორჩევა.
2. სამხკორის ამორჩევა.
3. მიმდინარე საკითხები.

კრებამ მოისმინა მოხსენება ამავე ასეულის კომუჯრედის მდივნის ამხ. ჯიჩოევის პირველი საკითხების შესახებ და დაადგინა, რათა დელეგატათ იქნას გაგზავნილი ამხ. ლ. გიორგაძე და ამხ. იაკოვლევი.

სამხკორად ამორჩეული იქნა ამხ. ლ. გიორგაძე.

ბოლოს გაიმართა საუბარი მიმდინარე საკითხების გარშემო. ამხანაგებმა ილაპარაკეს ასეულის ყოფაცხოვრებაზე და წესრიგის შესახებ.

ლ. გიორგაძე.

წითელ არმიელთა და მუშების დაახლოვება.

ენკენისთვის 30 პოლიგრაფიულ განყოფილების მუშების საზაფხულო კლუბში შესდგა 1-ლ ქ. მ. დ. ცალკე მესანგრე ასეულის უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელთა, ამავე ასეულის მეთაურთა და პოლიტშემადგენლობის და მბეჭდავთა კავშირის მუშების საერთო კრება, რომელსაც დაესწრენ აგრეთვე მუშების ოჯახები და მრავალი საბჭოთა მოსამსახურენი.

პოლიტგრაფიის და ასეულის კომუჯრედის წევრთაგან არჩეულ იქნა პრეზიდიუმი.

კრება გახსნა ექსპედიციის მუშამ ამხ. საყვარელიძემ.

მოხსენება გააკეთა სოც. უზრყოფის სახ. კომ. ამხ. კ. ხომერიკმა. მან გააშუქა მენშევიკების უკანასკნელი ავანტიურა საქართველოში, სახელოვანი ბრძოლა მათთან ჩვენი წითელი არმიისა, რომელშიაც მესანგრენიც იყვნენ, რითაც ერთხელ კიდევ დაამტკიცეს თავისი ერდგულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

იგი შეეხო მუშების და წითელ არმიელების კავშირს, რითაც ასე ძლიერია საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი და რითაც ჩვენ მუდამ შეგვიძლიან ვიამაყოთ. ბოლოს ის უვადო შვებულებაში მიმავალ ამხანაგებს მოუწოდებს, რომ მათ სოფლებში გადასცენ მთელი ის ცოდნა, რაც შეიძინეს წითელ ყაზარმაში და ფხიზლად იდგენ ოქტომბრის მონაპოვართა საგუშაგოზე.

ამხანაგის სიტყვა იფარება მხურვალე ტაშით და „ვაშას“ ძახილით. მე-19 მესანგრეთა ათასეულის ორკესტრი ასრულებს ინტერნაციონალს.

უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელთა სახელით გამოსამშვიდობებელ სიტყვას ამბობს ამხ. ჩომახიძე, რომელიც მხედრულ პატიოსან სიტყვას იძლევა, რომ ყველაფერს შეასრულებენ ადგილებზე, რაც შეიძინეს აქ, წითელ სკოლაში და რასაც ამხანაგები ავალებენ, და ათავებს ასე: „ამხანაგო მუშებო, გთხოვთ, როდესაც ჩვენი შემცვლელი ახალწვეულნი მოვლენ, მათაც ასეთივე ძმობა გაუწიოთ, როგორც ჩვენ გვიწევდით“-ო, რამაც ყველაზე დიდი შთაბეჭდილება დასტოვა და მუშებმა ერთხმად შესძახეს, რომ აღასრულებენ მის თხოვნას.

ასეულის კომუჯრედის სახელით მიესალმა წ. არმ. ამხ. ჯიჩოევი, ახალგაზრდა კომკავშირელთა სახელით ამხ. ნარიმანიშვილი, მბეჭდავ მუშათა კავშირის სახელით პოლიტგრაფიულ განყოფილების საკულტგანმანათლებლო კომისიის თავმჯდომარე, ამხ. მიხნევიჩი და სხვა მუშები.

კრების დათავების შემდეგ გამოტანილ იქნა და ერთხმად მიღებული შემდეგი რეზოლიუცია:

„პოლიტგრაფიულ განყოფილების მუშების და 1-ლ ქარ. მსრ. დივ-

იზიის ცალკე მესანგრე მეთაურთა, პოლიტშემადგენლობის და წითელ არმიელთა გაერთიანებულმა კრებამ, მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. კ. ხომერიკისა მენშევიკების მიერ მოწყობილ ავანტიურის შესახებ, რომლებსაც მიზნად ჰქონდათ დაერღვიათ საქართველოს მშრომელი ხალხის მყუდრო, შემოქმედებითი მუშაობა,—ვუთვლით მათ კრულვას და ვაცხადებთ, რომ ჩვენ ყოველ წამს მზათა ვართ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიოთ მუშათა კლასის და მის წინამძღოლ კომპარტიის ყოველ ჯურის მტრებს.

ძირს საერთაშორისო კონტრრევოლიუცია.

გაუმარჯოს მუშებისა და წითელ არმიელების ერთიანობას.

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს.

პოლიგრაფიულ მუშების სახელით ამხ. არუთინოვმა დაურიგა საჩუქრები (ფანქრები, ბლოკნოტები, თუთუნი, ქაღალდი და სხვა) უვადო შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელებს.

ბოლოს ნაჩვენებ იქნა კინო-სურათი—„ყაჩაღი არსენა“—ახსნა-განმარტებით.

ასეულის და პოლიგ. მუშების დრამ-წრეთა მიერ დაიდგა ვოდ. „თუ მე არა—არც შენა“.

როგორც მოხსენებით, ისე სალამოთ ყველა კმაყოფილი დარჩა. გათავდა ღამის 12 საათზე და მხიარული წ. არმ. გაეშურენ ყაზარმისაკენ, სიმღერით.

1 ოქტომბერს კი მთელმა ასეულის შემადგენლობამ, მუსიკით, მხიარულად მიაცილა ისინი სადგურზე.

ს.

შეისწავლეთ სამხედრო ქიმია.

სამხედრო ქიმია დაანგრევს თუ არა ქალაქს?

წინა წერილებში ჩვენ გვქონდა აღწერილი ისეთი მხრჩოლავი აირები, რომლებიც უფრო გავრცელებულია და სამხედრო საქმეში ხშირადაა ხმარებაში მიღებული. საჭიროა აღვნიშნოთ, თუ რა ზიანის მიყენება შეუძლია მხრჩოლავი აირების გამოშვებას ამა თუ იმ ქალაქის წინააღმდეგ.

1. შესაძლებელია თუ არა ქიმიურ თავდასხმის დროს მთელი ქალაქის განადგურება, ე. ი. მოსალოდნელია თუ არა ქიმიურ თავდასხმის დროს ისეთი ქალაქის მთელი მოსახლეობის მოწამვლა, ან დახრჩობა, როგორიც, მაგალითად, თბილისია?

2. როგორ შეიძლება ეს მოხდეს?

3. რამდენ ხანს შეიძლება ეს მოხდეს და რამდენი ქიმიური საბრძოლო ნივთიერებაა ამისათვის საჭიროა?

4. შესაძლოა თუ არა მოსახლეობამ თავი დაიცვას ქიმიურ თავდასხმისაგან?

ცნობილმა სამხედრო სპეცებმა ასეთი შეკითხვებით მიმართეს უცხოეთის რედაქციებს.

ბრიტანეთის სამხედრო ფლოტის კაპიტანი ბერნეი შეკითხვებზე იძლევა შემდეგ პასუხს:

„ვფიქრობ, შეერთებულ შტატების (ამერიკა) ქალაქების უმრავლესობა და დასახლებულ ადგილებისა ომის გამოცხადებიდან სამი დღის განმავლობაში იქნებიან განადგურებულნი,—ეს ომი მოხდება იაპონიასთან, თუ სხვა რომელიმე სახელმწიფოსთან.

ვღებულობ რა მხედველობაში ტეხნიკის განვითარებას, რომელიც ეხლა იკვლევს და რომლის განხორციელება ამ ათი წლის განმავლობაში მოხდება, ვფიქრობ რომ ჩემი პასუხი არ უნდა იყოს გადაჭარბებული“.

უნდა ითქვას, რომ კაპიტან ბერნეის პასუხი ქიმიურ ომის შედეგების შესახებ არ შეიძლება ჩაითვალოს გადაჭარბებულად და ფანტასტიურად.

საჰაერო და სამხედრო—ქიმიურ ტეხნიკის მიღწევებს თუ განვიხილავთ, ჩვენ ნათლად დავინახავთ, რომ ბერნეის აზრი არ არის გადაჭარბებული.

აირისაგან უბრალო თავდასაცავი საშუალება.

ქლორის და ფოსგენის აირების წინააღმდეგ იმპერიალისტურ ომის დასაწყისში და ეხლა კი ზურგში მოსახლეობის დასაცავად ხმარობენ შემდეგ საშუალებებს:

დოლბანდის ბალიშს ბამბით გატენილს და სოდის, გიპოსულფიტის გლიცერინა გარეულ ხსნილში ამოვლებულს, ან და უნდა გახსნათ სოდა, გიპოსულფიტი, უროტროპინი და გაურიოთ გლიცერინა და ამ ხსნილში ამოავლოთ ზემოთ აღწერილი ბალიში.

ცეცხლის მფრქვევი მთების შესახებ.

რა არის ცეცხლის მრქვევი მთა.

იტალიის განაპირად, კუნძულ **სტრომბოლზე**, ამართულია მთა. ამ მთის წვეროდან ამოდის ორთქლის მსხვილი ბოძისებური კორიანტელი. ორთქლი ამოდის მთის სიღრმიდან. მთის მწვერვალზე უზარმაზარი, ფართე ორმოა, რომელსაც მთის სიღრმეში აქვს ძირი. ამ ორმოს ძირზე სდუღს ტალახისებური გამდნარი სხვა და სხვა ნივთიერება. ეს სხვა და სხვა ნივთიერება-ქვა და მთის ჯიშები გამდნარი არიან უზომო სიცხისაგან, რომელიც დაგუბებულია დედამიწის გულში. ამ გამდნარ და მდუღარ ნივთიერებას ეწოდება ლავა. ლავას ზედაპირზე დუღილის გამო ჩნდება ბუშტები, რომლებიც სკდებიან და მათგან ამოდის ორთქლი. ლავისაგან გასროლილი ზხეფები სცვივიან ყოველ მხრივ, ცივდებიან და წმინდა მტვერისა და ქვიშის სახით მიაქვს ისინი ორთქლს მაღლა.

დღისით ლავა სჩანს შავად, ღამით კი-ცეცხლის ფრად, ან წითლად. **სტრომბოლის** მთის წვეროზე ყოველ ღამე მოსჩანს ცეცხლის ბოძი, რომელზედაც ხომალდები მომართავენ ხოლმე თავიანთ გზას.

ცეცხლის მფრქვევი მთების რიცხვი მთელ დედამიწაზე სამასზე მეტია. ასეთი მთების ცნობა შეიძლება მოყვანილობითაც: ისინი მიაგვან თავ-შაქარს. ასეთ მთებს წვერი თითქოს გადაჭრილი აქვს. ყველა მათგანს წვეროზე დიდი და ღრმა ძაბრისებური ორმო აქვს. ამ ორმოს ჩვეულებრივად ყელის გვირაბს ან უბრალოდ მთის ყელს ეძახიან. ამ ყელიდან ამოდის ლავა და ორთქლი. ზოგიერთ მთას აქვს 2 ან რამოდენიმე ასეთი ძაბრისებური მწვერვალი ყელით

როცა ასეთი მთა იწყებს მოქმედებას, ე. ი. როცა სიღრმიდან მოაწვება ამოსახეთქად გამდნარი ტალახი, ატყდება მიწის სიღრმეში გუგუნი და გრიალი, როგორც ქუხილი. დაჰკრავს მთის სიღრმეში მეხივით. მიწა ასეთი დაკვრით იძრის რამოდენიმე ვერსით ირგვლივ. დაკვრა უფრო გაძლიერდება და მოუხშირებს. ბოლოს უძლიერესი დაკვრისაგან ძაბრისებურ ორმოს ძირს ამოხეთქვს. მთა გაიბზარება რამოდენიმე ალაგას და ამ ნაბზარებიდან გამოდის თეთრი ორთქლის ქულები. ეს ქულები შეგროვდებიან მთის მწვერვალზე და აღიმართებიან სულ მაღლა და მაღლა და შეუერთებიან ღრუბლებს. ეს ბოლი ამოდის მთიდან ხშირად რამოდენიმე თვეობით. ასეთი ბოლი ხშირად ასულა 5 ვერსის სიმაღლეზე.

სულ მაღლა კი ეს ბოლი მოხდება ცივ სფეროში, იქ შეიკუმშება ღრუბლებად და გადაიქცევა წყლად და შემდეგ მოდის ძირს წვიმად.

ეს ბოლი, ანუ ორთქლი ისეთი სიძლიერით ამოდის მიწიდან, რომ როგორც ზარბაზანი ისე ამოისვრის ცაში ქვებს და ქვიშას. ქვები ხშირად რამოდენიმე ფუთი სიმძიმის იქნება. ისინი ავარდებიან ორთქლის სიძლიერის გამო რამოდენიმე ას საჟენით მაღლა, შემდეგ სიმძიმის გამო კვლავ დაეშვებიან მთის ძაბრში, აქ კიდევ ძლიერი ორთქლის ჩქერი კვლავ გაიტაცებს აღმა და ათამაშებს მას მანამ, სანამ ეს ქვა არ გამოვა ორთქლის მოქმედების გარეშე, ე. ი. სანამ ორთქლის სვეტს არ მოშორდება. სულ ბოლოს მოხდება მეტად მძლავრი მოწოლა მიწის სიღრმიდან და ძაბრში ამოინთხევა გამდნარი ლავა. გაგრძელდება დენა და აივსება ძაბრი. შემდეგ გადმოიღვრება მთის გვერდებზე და დაეშვება ნიაღვარივით დაბლა. ამ ლავის ნაწილს კი გაიტაცებს მთის სიღრმიდან ამომქშინავი ორთქლი და შემდეგ ამისა ეშვება მაღლიდან ტალახის წვიმა და ერთ გვარი ფხვიერი, გადამწვარი ნივთიერება, რომელსაც ფერფლს უწოდებენ.

ძნელად თუ წარმოიდგენს ადამიანი იმოდენ ფერფლს გადმოაფრქვევენ თავის სიღრმიდან ეს მთები. მაგალითად 1835 წელს ამერიკაში ასეთმა მთამ ამოჰყარა იმდენი ფერფლი, რომ შეიძლებოდა მისგან მთის აყვანა 5 ვერსის სიმაღლით და 24 ვერსის სიგანით. 40 ვერსზე ამ მთიდან მთელი სოფლები დაიფარა ორ ნახევარი საჟენის სიმაღლით. ასეთი მოქმედების შემდეგ ჩვეულებრივად მოდის ამ მთების რაიონებში კოკის პირული წვიმაა რის გამოც მთის მწვერვალიდან მდინარესავით ჩამოდის თხელი ტალახი დაბლა. ეს მდინარეები მეტად დიდი ზომის არიან ხშირად. ასეთმა მდინარემ გაანადგურა ერთხელ 114 სოფელი კუნძულ იავაზე. თუ ხე შეხვდა ასეთ მდინარეს, ის ერთი წუთის განმავლობაში ახმობს და სწვავს მას, თუ ტბა შეხვდა, ისმაშინვე ორთქლად აქცევს და ამოაშრობს მას. ასეთ შემთხვევაში ისმის ძლიერი ტკაცანი, ვინაიდან აორთქლების დროს ჩნდებიან და სკდებიან წყლის ბუშტები.

ცეცხლის მფრქვევი მთები მუდამ არ მოქმედობენ. ხან ამოხეთქავენ, ხან მიწყნარდებიან. ხშირად ისინი რამოდენიმე ას და ათას წლობით მშვიდად არიან, ხოლო შემდეგ ერთბაშად ამოხეთქავენ და ერთი-ორი თვის, ხან წლის შემდეგ კვლავ მიწყნარდებიან

რ—ნი.

ამბები სოფლებიდან.

გლეხთა სასახლე სიღნაღში.

სიღნაღის სამაზრო აღმასკომმა გადასცა სამაზრო გლეხკომს დიდი სახლი, რომელშიაც მოწყობილ იქნება გლეხთა სასახლე.

ელექტრო-სადგური წნორზე.

სიღნაღის სამაზრო გლეხკომმა განიზრახა ამ მოკლე ხანში შეუდგეს მუშაობას სად. წნორის წყალზე ელექტრო სადგურის ასაშენებლად.

ახალი სამკითხველო თელავში.

თანახმად თელავის პროფბიუროს შუამდგომლობისა, ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებამ გაანთავისუფლა ერთი შენობა, რომელშიაც მოწყობილ იქნება პროფბიუროს ბიბლიოთეკა—სამკითხველო.

ყოფილ თავად-აზნაურთა ქონება გორის მაზრაში.

გორის აღმასკომის დადგენილებით იმ ყოფილ თავად-აზნაურთა ქონება, რომელმაც მონაწილეობა მიიღეს გამოსვლებში, გადარიცხულ იქნება ადგილობრივ აღმასკომების განკარგულებაში.

ფოთის ჭაობების ამოშრობა.

ა. კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს ინიციატივით, ამ ჟამად სწარმოებს წინასწარი მუშაობა ფოთის ჭაობების ამოსაშრობათ. ჭაობების გამოსაკვლევათ გაგზავნილი ტეხნიკოსთა პარტია უკვე დაბრუნდა თფილისში.

წყალსადენი მცხეთაში.

ა. კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს ცნობით ამ მოკლე ხანში დასრულებულ იქნება წყალსადენის გაყვანა მცხეთაში.

ახალციხის ჰიდრო-ელექტრონული სადგური.

ახალციხის ჰიდრო-ელექტრონული სადგურის აშენება დასრულდება მომავალ წლის იანვარში. სადგურის აშენების ტეხნიკურ მხარეს ხელმძღვანელობს ა. კ. წყალთა მეურნეობის სამმართველო.

ახალი ამბები.

— **სამხ. კოოპერაციის ახალი ქსელი.** საქ. სამხ. კოოპერაციის (ევკოგრუზი) გამგეობამ გადასწყვიტა გახსნას კოოპერატიული დუქნები დასავლეთ საქართველოში მდგარ № დივიზიის ნაწილებში.

— **სამხ. კოოპერატივი გორში.** „ევკოგრუზის“ დადგენილებით ამ დღეებში ქალ. გორის სამხ. ნაწილების საჭიროებისათვის გაიხსნება სამხ. კოოპერატივის მაღაზია.

წ.-კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები. ტფილისის პოლიტგანათლებამ უკვე გახსნა ქალაქში 35 წ.-კითხ. უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტი, რომელშიაც მიღებულია უკვე 12 000 უცოდინარი.

— **წერა-კით. უცოდ. აღრიცხვა.** ამჟამად კვლავ გრძელდება იმ წერა-კითხ. უცოდინართა აღრიცხვა, რომელთაც სურთ სალიკვიდაციო სკოლებში შესვლა.

— **ხუთი წლის მუშაობის გეგმა.** ქალ. აღმასკომის საგეგმო კომისია შეუდგა აღმასკომის ყველა განყოფილებისათვის ხუთი წლის მუშაობის გეგმის შემუშავებას.

— **სადეზინფექციო კამერები.** ჯანსახკომის ცნობით ამ ჟამად საქართველოში მოქმედობს 28 სადეზინფექციო კამერა.

— **მოძრავი კინო.** ტფილისის პოლიტგანათლების მთ. მმართველობამ მოახდინა მოძრავი კინო-აპარატის გამოცდა. გამოცდამ კარგი შედეგები მოიტანა.

— **სახლების აშენება ტფილისში.** ტფილისში დაწყებულ შენობების დასამთავრებლად აღძრულია შუამდგომლობა საკავშირო საბინაო კოოპერაციის დამხმარე კომიტეტის წინაშე ნახევარი მილიონი მანეთის სესხათ გაცემის შესახებ.

ხელოვნება.

— **ახალი კინო-სურათი.** ახლო ხანში ტფილისში აჩვენებენ ახალ კინო-სურათს „წყალდიდობა ლენინგრადში“.

შეცდომის გასწორება.

გუშინდელ ჩვენ გაზეთის 619 №-ს მეთაურში გაგვეპარა შეცდომა. სწერია: **ნაკლის შეფასებას შეუდგებით.** უნდა იყოს: **ნაკლის შევსებას შეუდგებით.**

სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის ტფილისის განყოფილებისაგან.

სოციალურ უზრუნველყოფის ტფილისის განყოფილება აცხადებს, რომ ქალაქ ტფილისში და მის მაზრაში გაწვეული წითელ-არმიელები, რომელთაც აქვთ მიღებული სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატიდან სოციალური დახმარების წიგნაკები და რომელთაც არ მიუღიათ დახმარება 1924 წლის გასულ თვეების განმავლობაში, უნდა გამოცხადდენ ასეთების მისაღებათ არა უგვიანეს ამა წლის 20 ოქტომბრამდე, რის შემდეგაც გასულ თვეების დახმარების გაცემა შეწყვეტილი იქნება.

სოციალურ უზრუნველყოფის ტფილისის განყ.

გამგე: (ხელს აწერს)

ნ. დ. ს. ც ტირაჟი 1.500 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—პ. ჩუხიძე